ცნობის ფურცელი

№ 1935 ოთხშაბათი, 25 სექტემბერი 1896—1902 ყოველ-დღიური გამოცემა № 1935

გაზეთის ფასი: წელიწადში—6 მან., თვეში—75 კაპ., ცალკე ნომერი—3 კაპ., ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით“ პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5 კაპ.

ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბე“-„ცნობის ფურც.“ რედაქციის კანტორაში ბანკის დიდ ქუჩაზე, № 27 და წ. გამ. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქვაშვეთის ეკკლესიის პირდაპირ).

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, შუადღის 11—1-ლ საათამდე.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели“-„Моамбе“. ტელეფონი № 372.

რედაქციისაგან

გავახსენებთ „ცნობის ფურცელ“-„მოამბის“ ხელის მომწერთ, რომ დააჩქარონ დარჩენილ ხვედრი ფულების შემოტანა.

ხუთშაბათს, 26 სექტემბერს, დიდუბის ეკკლესიაში გადახდილ იქმნება წლის წირვა და პანაშვიდი

გიორგი დავითის ძის ქართველიშვილის

სულის მოსახსენებლად. წირვა დაიწყება დილის 10 საათზე, პანაშვიდი 12-ზე.

განცხადება.

ტფილისის ქალაქის თავის მოადგილე

ამით აცნობებს ბ.ბ. ამომრჩეველთ, რომ მეორე საარჩევნო ნაწილის ხმოსნების არჩევანი დანიშნულია 1902 წლის 26 სექტემბრისათვის «ტფილისის სობრანიე»-ს საზაფხულო განყოფილებაში, მიხეილის ქუჩაზე. საარჩევნო კრებაში შესასვლელ ბილეთების მიღება შეიძლება გამგეობის კანცელარიაში 26 სექტემბრამდე, ხოლო არჩევნების დღეს «ტფ. სობრანიე»-ს სადგომში დილის 10 საათიდან კენჭის დათვლის დაწყებამდე. (ნ. 3—2)

1-ლ ოქტომბრიდან **გედევანიშვილის საავადმყოფოსთან არსდება მასსაჟისა და სამკურნალო გიმნასტიკის კურსები.** სასწავლებელი საგნები:

ანატომია, ფიზიოლოგია; ექიმები: გ. ვ. სობოლევსკი, ე. გ. ფეოდოროვი

მასსაჟის თეორია და ტეხნიკა, პრაქტიკული მეცადინეობა; ექიმები: ა. გ. მალალაშვილი, გ. ვ. სობოლევსკი

კურსებზე ქალებიცა და კაცებიც მიიღებიან. სწავლის ფასი (ოთხის თვის კურსი) 30 მანეთია. (0—14)

პანსიონი და სასწავლებელი

ა. გ. მირზაშვილისა

ელისაბედის ქუჩა № 25. ყმაწვილებს მიიღებენ 1-ლ ენკენისთვიდან. (10—8)

ტფილისის კერძო სამკურნალო

გედევანიშვილისა.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე,

დილით:

ვ. ი. ჟიჟინაძე—კბილის სნეულებანი 8—10 საათამდე.

ნ. ტ. მულინი. ყურისა, ყელისა და ცხვირის 9—10.

ა. გ. მალალაშვილი—შინაგანი 10—11 საათამდე, სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით.

ი. პ. ახალშენიშვილი—კბილის სნეულებანი 10—11 საათამდე.

ლ. ი. კამოევი.—საშარდეს (ხირურგიული) ავადმყოფისათვის: სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით 10 საათიდან 11-მდის.

პ. გ. ელიოზიშვილი—შინაგანი და ბავშვებისა 11—12 საათამდე.

დ. ა. გედევანიშვილი, შინაგანი, ნერვებისა და წამლობა ელექტრონით 12—1 ს.

ვ. მ. მანსვეტოვი. შინაგანი, ნერვებისა და ბავშვებისა: სამშაბათობით და პარასკევობით 1—2 კვირაობით 9—11.

ა. ნ. ბარხუძოვი—დედათა სნეულებანი, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკევობით 12—1 საათამდე.

ზ. მ. ამბარდანოვი—სიფილისისა, კანისა და საშარდესი 1—2 საათამდე.

გრ. ვ. სობოლევსკი—ხირურგია და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკევობით 1—3 საათ.

საღამოთი:

ი. ნ. თუმანიშვილი—დედათა სნეულებანი 5—6 საათამდე.

ა. გ. მალალაშვილი—შინაგანი, ბავშვებისა და ყვავილის აცრა 5—6 საათამდე. (მიკრო-ქიმიური და ბაქტერიოლოგიური გამოკვლ.)

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები.

ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ.; ოპერაციები მორიგებით. კრაოტები—სამი მანათიდამ ხუთამდე.

ადრესი: კუკია, ნიკოლოზის ქუჩა, სახლი სავინაშვილისა, № 21. (ავჭალის ქუჩის დასაწყისში).
ტელეფონი № 274. (წლ.)

სოფელ მუხრანსხევში

(გორის მაზრა)

კარგი შემოსავლიანი მამული იძლევა იჯარით. მსურველს შეუძლიან იყიდოს კიდეც. ცნობების მიღება შეიძლება „ცნ. ფურცლის“ რედაქციაში. (4—2)

ექიმი

ვ. ს. მუსხელაშვილი

მიიღებს თვალებით ავადმყოფებს დილით 12—2 ს. ყოველ დღე, გარდა სამშაბათისა. წყნეთის ქუჩა № 24 სახ. ვაჩნაძისა. (წ).

ექიმი

დავით ალექსანდრეს ძე

გედევანიშვილი

იღებს შინაგანი, ნერვების სნეულებით და სწამლობს ელექტრონით საღამოს 5—6 საათამდის.

კიროჩნი ქუჩა, სახლი მარტინოვსკისა, საზაფხულო კრუჟოკის პირდაპირ. (45—10)

ექიმი

ალექსანდრე გიორგის ძე

მალალაშვილი

(მიხეილის ქუჩ. 30.—ტელეფონი 450).

იღებს ყოველ-დღე შინაგანისა და ბავშვთა სნეულებით ავადმყოფებს დილით 10—1 საათამდე და საღამოთი 6—8-მდე.

კბილის ექიმი

ივანე პავლეს ძე

ახალშენიშვილი

იღებს ყოველ-დღე კბილის სნეულებით ავადმყოფებს დილის 8—10 საათ. და 11—2-მდის. კვირა-უქმე-დღეებში 10—1-დის და საღამოთი 5—7-დის.

ელისაბედის ქუჩა, № 38. (წლ.)

ქართველ თავად-აზნაურთა თეატრი
(ტელეფონი № 617)

დღეს, ოთხშაბათს, 25 სექტემბერს, ხარკოვის საოპერო დასის მიერ

წარმოდგენილ იქნება

ევგენი ონეგინ

ოპერა 3 მოქ. და 7 სურ. მუსიკა ჩაიკოვსკისა

ლენსკის პარტიას აასრულებს **ა. პ. ბონაჩიჩი.**

მონაწილეობას იღებენ: ქალბატონები: გაშინსკისა, დობრჟანსკისა, ბაუერ და სხვანი; ბატონები: ბონაჩიჩი, პოლუიანოვი, ტომაშევიჩი, სვობოდინი და სხვანი. **კაპელმეისტერი** ლ. პ. შტეინბერგი. **ხორმეისტერი** ა. გ. ზვერჟანსკი. **ბალეტმეისტერი** მენაბენი. **ადმინისტრატორი** მ. დურანდინი. დეკორაციები მხატვრის **ნოვაკისა.**

დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

კასსა ღია დილის 10-დან ნაშუადღევის 3 საათამდე და საღ. 6 საათიდან წარმოდგენის გათავებამდე.

ანონსი: ხვალ, ხუთშაბათს, 26 სექტემბერს წარმოდგენილი იქნება **„ფაუსტი“.**

სახელოვნო ნაწილის გამგე **ივ. ფითოევი.** (ნ. 0—9)

საზღვარ-გარედ

საფრანგეთი. ნანტის სამხედრო სასამართლოს წევრებმა სთხოვეს რესპუბლიკის პრეზიდენტს ლადიურს ეპატიოსო. თითონ ლადიურს კი არ გამოუცხადებია პროტესტი სასამართლოს განაჩენის წინააღმდეგ. ფრანგულ გაზეთებს არ მოსწონებიათ ეს განაჩენი. რესპუბლიკური გაზეთები თუმც აქებენ სასამართლოს სიმაგრეს, მაგრამ ამავე დროს შეჰნიშნავენ, ლადიურის გაცილებით მეტი სასჯელი მიუსაჯეს, სინამ სენ-რემისაო. ეს კიდევ ერთხელ ამტკიცებს, რომ სამხედრო სასამართლოები ერთნაირ დანაშაულს სულ სხვა-და-სხვა ნაირად სჯიანო.

✦ ქვემო-ლუარის დეპუტატი ნაციონალისტი დიონი ხალხს აქეზებდა, სახელმწიფო კასებიდან შეტანილი ფული გამოიტანეთო. ამაზე მთავრობას სისხლის სამართალში მიუცია ნაციონალისტი დეპუტატი.

✦ მინისტრები საფრანგეთში მოგზაურობენ და სხვა-და-სხვა ადგილას სიტყვებს წარმოსთქვამენ. ვაჭრობის მინისტრმა ტრულიომ, მაგალითად, სენ მექსანში გამბეტას ძეგლის კურთხევის დროს ილაპარაკა.

ორატორი გამბეტას იცავდა იმათგან, ვინც ამტკიცებს, რომ განსვენებული ეკკლესიისა და კონგრეგაციების მეგობარი და ეხლანდელ „შეერთებულების“ (რალიე) წინამორბედი იყოო. ნამდვილად კი გამბეტას პროგრამა ეხლანდელ სამინისტროს პროგრამას ჰგავდაო. გამბეტა დემოკრატიულ რეფორმებისათვის იბრძოდა, შემოსავლის გადასახადის დაწესებას თხოულობდა და კლერიკალიზმსა და კონგრეგაციებს მხნედ ეწინააღმდეგებოდა: ამათ წინააღმდეგ უფრო რადიკალურ ღონისძიებათა მიღებასაც თხოულობდა, ვიდრე ჩვენ მივიღეთ. ერთი სიტყვით, გამბეტა რადიკალური რესპუბლიკის მომხრე იყოო.

ამავე დღეს კოლონიების მინისტრმა დუმერგმა სენტამანში ნადიმის დროს ილაპარაკა და გამოაცხადა, მთავრობა მტკიცედ შეასრულებს თავის პროგრამასაო. დუმერგმა სთქვა:

„მთავრობას ათასს შეურაცხყოფას აყენებენ მტრები, მაგრამ ასეთი შეურაცხყოფა სახელიც კია მთავრობისათვის. ჩვენი მოწინააღმდეგენი დაიჩივიან: კანონებს ამტკიცებენ, მაგრამ ასრულებით კი აღარავინ ასრულებსო. აქამდე იყო ასე, ეხლა კი სულ სხვა იქნება. ეხლანდელ სამინისტროს წევრებს ყველას კარგად აქვთ შეგნებული თავიანთი მოვალეობა: წინანდელ კაბინეტის გამოცემულს კანონს მტკიცედ აასრულებენ და წარსულ არჩევნის დროს დაპირებულ რეფორმებს მოახდენენ.“

✦ 16 სექტემბერს სანსში ჟორესმა კიდევ ილაპარაკა რევანშის წინააღმდეგ. ჟორესმა სთქვა:

„სოციალისტების პარტიას, სხვათა შორის, აზრადა აქვს გლეხ-კაცებსა და მუშებს ომი შეაძულოს. ბურჟუაზიის ერთი ნაწილი, სოციალურ საქმის გადაწყვეტის დასაგვიანებლად, ნაციონალიზმსა, შოვინიზმსა და მილიტარიზმს ჰქადაგებს. ნამდვილად კი საფრანგეთში აღარავის არ სწადიან გერმანიასთან ომი. საფრანგეთის რესპუბლიკას მხოლოდ ზავის გამტკიცებითა და ევროპის დემოკრატიის განვითარებით შეჰფერის რევანშის გადახდა. ელზას-ლორენს სრულებით არა ჰსურს ხელ-მეორედ საფრანგეთისა და გერმანიის ბრძოლის ველად გახდეს. ჩვენ მშვიდობიან იდეალს ზოგიერთი ოცნებადა სთვლის. მას აქეთ, რაც ახალი ევროპა არსებობს, ეს პირველი მაგალითია, რომ მთელი 33 წლის განმავლობაში ომი არ მოჰსვლიათ ევროპის სახელმწიფოებს, თუმცა კი მრავალი საბუთი ჰქონდათ შეტაკებისათვის. მაშ რითი აიხსნება ეს ამბავი, თუ არ იმით, რომ ყველას ზავი სწადიან!“

ინგლისი. ირლანდიელ ნაციონალისტს ო'ბრაიენს კლერმორისში ირლანდიის ეხლანდელ აუტანელ მდგომარეობაზე ულაპარაკნია. ო'ბრაიენს უთქვამს: „ეხლა კი ნამდვილად დრო მოვიდა, რომ ირლანდიის შეერთებულ ლიგის აზრები შევასრულოთო და ბეჯითის ბოიკოტითა და დევნით ლენდლორდებს საქმე გაუჭირვოთო“.

✦ წარსულ შაბათს ირლანდიის შეერთებულ ლიგის ლიმერიკელ კომიტეტის მდივანს სამი თვით საკოტორღე ციხეში დატუსაღება გადაუწყვიტეს. ამ მდივანსაც მუქარის შეთვლა ჰბრალდებოდა. ქალ. დუბლინის მოურავმა პარასკევს მოქალაქეები კრებაზე მიიწვია იმ აზრით, რომ აშკარად თანაგრძნობა გამოუცხადოთ იმათ, ვინც დამჩაგვრელების წინააღმდეგ იბრძვის და მკაცრად დავგმოთ მთავრობის პოლიტიკაო. ამ პოლიტიკას აზრად აქვს, ყველანი, ვინც კი მთავრობას ებრძვის, ციხეში ჩაჰყაროს და ირლანდიაში ყველა თავისუფალი დაწესებულება დათრგუნოს და გააჩუმოს.

ირლანდიელ საპარლამენტო დასის მეთაურმა ჯონ რედმონდმა 24 სექტემბერს დასის კრება უნდა მოახდინოს. ამ კრებაზე უმთავრესად იმაზე ექნებათ ლაპარაკი, თუ რა ტაქტიკას დაადგნენ პარლამენტში სასკოლო კანონ-პროექტის განხილვის დროს.

ირლანდიელებს წინაზე გადაწყვეტილი ჰქონდათ, მთავრობის კანონ-პროექტს დახმარება გაუწიოთო. ეხლა, რაკი მთავრობამ ირლანდიის ლიგას დევნა დაუწყო, ვილიამ ო'ბრაიენმა სთხოვა რედმონდს, უარი უთხარი მთავრობას და იმის კანონ-პროექტს დახმარებას ნუღარ გაუწევო, მით უმეტეს, რომ ეს კანონ-პროექტი მეტად სძულს ყველასაო. ო'ბრაიენს სხვა ირლანდიელი დეპუტატებიც მიემხრნენ და მოითხოვეს, ჩვენმა დასმა ყოველთვის წინააღმდეგობა უნდა გაუწიოს მთავრობასაო. რედმონდმა თითონ ვერ გადასწყვიტა ეს საქმე და ამიტომ მთელი დასის კრება მოახდინა.

✦ იოჰანესბურგიდან იწერებიან, ლორდ მილნერის მოგზაურობას აღმოსავლეთ-ტრანსვაალში კარგი შედეგი მოჰყვაო.

უმაღლესი კომისარი ყველგან აგონებდა ბურებს, თქვენი წინანდებური წესები მაგდენად როდი შეიცვლებაო. ბურები ჩივიან, ხარები და ხე-ტყე გვაკლიაო. ტრანსვაალელები მაინცა და მაინც კარგად ვერ უყურებენ ინგლისელებს, მაგრამ, ეტყობა, ახალ წესებს შეურიგდნენ და, რაც კი შეუძლიანთ, ცდილობენ, რომ თავიანთ ქვეყნის კეთილდღეობა აღადგინონ.

ოსმალეთი. გაზეთებში ეწერა: მაკედონიაში, ვოდენში ბოლგარებმა აჯანყება მოახდინესო. ამის თაობაზე გაზ. „ბერლ. ტაგებლატ"-ს ამნაირი კერძო დეპეშა მიუღია: ერთის კვირის წინად ბიტოლიის (მონასტირის) ვილიაეტში, ნამეტნავად ვოდენის ოლქში ბოლგარელთ სოფლები ყველანი ერთბაშად აჯანყდნენ. აჯანყებული ხალხი ოსმალოს სოფლებს დაეცა. მოხდა სისხლის ღვრა. სამხედრო უფროსებმა ბიტოლიიდან და სალონიკიდან საჩქაროდ ჯარი გაჰგზავნეს ბოლგარელთ დასამშვიდებლად. ამბობენ, ეს ხალხი აგიტატორებმა ააჯანყესო. აგიტატორებს ყველა მაკედონელ ბოლგარების აშლა ჰქონდათ აზრადაო.

რუმინიელ ურიების საქმე. კონსერვატორების დასის გაზეთი „ლარუმანი" იუწყება, რუმინიის შინაგან საქმეთა მინისტრმა მისწერა ოლქის პრეფექტებს: ამას იქით ურიებს პასპორტებს ნუღარ მისცემთო, რომ ამერიკაში ვეღარ გადასახლდნენო. ამ ღონისძიებამ შესაფერი ნაყოფი ვერ გამოიღო. საზღვარ-გარეთის გაზეთები კი ისევ ბეჯითად ესარჩლებიან ურიებს და ამერიკის ნოტის აღსრულებას თხოულობენ. ამიტომ მთავრობამ უფრო სასტიკ ღონისძიებას მიჰმართა და უბრძანა მოხელეებს, ძალა მოიხმარეთ და ურიებს ამერიკაში გადასახლება დაუშალეთო. ეს ბრძანება წარსულ კვირას შეასრულეს. ჩრდილოეთ რკინის გზის სადგურზე მრავალი ურია მივიდა ამერიკაში წასასვლელად: ყველას პასპორტიც აღებული ჰქონდათ და გზის ბილეთიც. პოლიციამ ყველანი ძალათ ისევ უკან დააბრუნა. ურიებმა პოლიციას პროტესტიც გამოუცხადეს, მაგრამ მაინც ვერას გახდნენ. გაზ. „რუმანი" მკაცრად ჰკიცხავს მთავრობის საქციელს:

„რა შედეგი უნდა მოჰყვეს მთავრობის ასეთ საქციელს? განა ამნაირად შეიძლება გადასახლების აკრძალვა? მთავრობის საქციელი ნამდვილი სამარცხვინო, უკანონო საქციელია. აბა ერთი ყველამ წარმოიდგინოს, თუ რა ყოფაში ჩაცვივდებოდნენ ეს ურიები: მთელი თავიანთი ქონება გაჰყიდეს, საქმეები მოშალეს, ამერიკაში წასასვლელად ბილეთები იყიდეს, იმდენი ფული ძლივს აქვთ, რაც გზაში საკვებად ეყოფათ, და ეხლა იძულებულნი არიან უკან დაბრუნდნენ და შავდღესა და სილატაკეში ჩაცვივდნენ. ასეთი საქციელი არ შეეფერება განათლებულ ქვეყანას. რუმინიის მთავრობას წინადვე უნდა შეეტყობინებინა ურიებისათვის, რომ ამერიკაში გადასახლება აკრძალული იქნებაო."

სამხრეთ-ამერიკა. ნიუ-იორკიდან სწერენ „ბერლინერ ტაგებლატ"-ს: ხმა დადის ჩილისა და პერუს კავშირის შეკვრა სწადიანთო. ამ ამბავს დიდ ყურადღებას აქცევენ. ამბობენ, ჩილის ჯარის მთავარ-სარდალი გენერალი კერნერი ძლიერ მეცადინეობს, რომ ეს კავშირი შეიკრასო. ჩილისა და პერუს გაზეთები სწერენ, სამხრეთ-ამერიკის ყველა რესპუბლიკელები უნდა შეერთდნენ და სამხრეთ-ამერიკის შეერთებული შტატები დააარსონო.

სომხების საქმე. სტამბოლიდან სწერენ გაზ. „ინფორმაციონ"-ს:

„მუშში და სასუნში დღემდე სამხედრო წესები ჰსუფევს. მართალია ინგლისის, საფრანგეთის და რუსეთის კონსულების აგენტები მოვიდნენ აქა, მაგრამ საქმეს ჯერ მაინც არა ეშველა-რა. რისთვის მოვიდნენ ეს აგენტები და რა გამოაჩინა იმათმა გამოძიებამ, ეს ჯერ კარგად ვერ გაიგეს. სასუნს მუდმივი ჯარები შემოარტყეს; ქურთები მხოლოდ ხონთქარის ბრძანებას ელიან, რომ სომხებს ხოცვა და ძარცვა დაუწყონ. სომხები ნიადაგ შიშ ქვეშ არიან. სომხების სოფლებში ყველგან ოსმალოს ჯარები დგანან და ყველას, კაცსა თუ ქალს მეტად შეუბრალებლად ექცევიან. სომხებს ნება არა აქვთ, ერთი სოფლიდან მეორეში გადავიდნენ. ყველა ახალგაზდა სომეხს თვალ-ყურს ადევნებენ და ბევრსაც ატუსაღებენ. მთავრობა ყოველ ნაირად სცდილობს, რომ იმისი ქცევის ამბავი როგორმე ევროპაში არ გაიგონ. განსაკუთრებულ კანონებს მეტად სასტიკად ასრულებენ. მოხელეები ყოველ ღონისძიებას ხმარობენ, რომ სომხებს კავკასიიდან შინ დაბრუნება აუკრძალონ."

ახალი ამბავი

◆ **განჯიდან გვწერენ:** 22 სექტემბერს საკრებულო ტაძარში გადახდილ იქმნა ქართულ ენაზე პანაშვიდი განსვენებულის ავქსენტი ცაგარლის სულის მოსახსენებლად. პანაშვიდს დაესწრო ადგილობრივი ქართველი საზოგადოება. საზოგადოება პანაშვიდის შემდეგ ფულის შეგროვებასაც შეუდგა განსვენებულის სახელობაზე დაარსებულ ფონდის მისამატებლად.

◆ **კვირის არჩევნები** ქალაქის გამგეობას დაუმტკიცებია და გუშინ კიდეც წარუდგენია გუბერნატორისათვის დასამტკიცებლად. ამასთანავე გამგეობა სთხოვს გუბერნატორს 1-ლ უბანში დამატებითი არჩევანი უნდა მოვახდინოთ, რადგან კვირის არჩევნებზე საკმაო რიცხვი ხმოსანთა არ აირჩია კრებამაო.

◆ გუშინ, 24 სექტემბერს, აკურთხეს და ჩაჰყარეს საძირკველი **სახალხო სახლისა,** რომელიც განსვენებულ ზუბალაშვილის ფულით კიროჩნის ქუჩაზე შენდება.

◆ „ქ. შ. წ. კ. გ. საზოგადოების" გამგეობა შეუდგა ბ-ნ ვ. გუნიას მიერ შედგენილ **საქართველოს კალენდრის გამოცემას.** კალენდარი შევსებული იქმნება ახალის ცნობებითა და წერილებით. კალენდარი გამოვა დეკემბრის პირველ რიცხვებამდე.

◆ დღეისთვის სამოსამართლო პალატაში განსახილველად დანიშნულია საქმე სარდიონ არავიაშვილისა, ალექსი შოშიაშვილისა, სიმონ კუმსიშვილისა, დავით ჯაგაშვილისა და ანტონ გელაშვილისა, რომელთაც **ქარელის ეკლესიის გატეხა** და საეკკლესიო ნივთების მოპარვა ჰბრალდებათ.

◆ ქალთა მესამე გიმნაზიას ტფილისში თავისს საკუთარის სახლის **აშენება უნდა,** მაგრამ თანხა არა ჰყოფნის ამისათვის. სამინისტროს ათი ათასი თუმნის სესხი მიუცია გიმნაზიისათვის და ახლო მომავალში კიდეც აპირებენ სახლის აგებას შეუდგნენ. გიმნაზიას საკუთარი ადგილი და ძველი სახლიცა აქვს. ეს სახლი დღეს ქალაქს აქვს დაქირავებული თავისს სკოლისათვის. ახლა გიმნაზიის მთავრობა სთხოვს ქალაქს, სახლი დაგვიცალეთ, შენობის აგებას უნდა შევუდგეთო.

◆ სოფ. მცნებში (ქართლი) **ციმბირის ჭირი აღმოუჩენიათ:** სამი კაცი გამხდარა ამ სენით ავად, ერთი მათგანი მომკვდარა კიდეც. გამოუკვლევიათ და აღმოჩენილა, რომ ამ ჭირიანი ორი თხა დაუკლავთ, ხორცი უჭამიათ და ტყავიც უხმარიათ. ექიმს საშუალება უხმარია და ჯერ-ჯერობით სენი სხვას არ გამოსჩენია.

◆ **თიანეთის სკოლაში** თავისუფალია ამ ჟამად მასწავლებლის ადგილი, რადგანაც „ქ. შ. წ. კ. გამავრცელებელ საზოგადოების" გამგეობის მიერ ახლად გამწესებულმა მასწავლებელმა ქალმა ქ-ნმა რამიშვილმა უარი განაცხადა.

◆ მთავრობას აზრადა აქვს **მაგარ სასმელების მონოპოლია** ამიერ კავკასიაში 1905 წლიდან შემოიღოს.

◆ სამინისტროს მინდობილობით, კავკასიის სამოსწავლო ოლქის **მზრუნველი დაჰკითხებია ქალაქს:** ავლაბარში პროგიმნაზიის დაარსების მაგიერ, ქალაქში რომ საშუალო სამრეწველო სასწავლებელი სამთო ნაწილის განყოფილებით გაიმართოს, შემოიტანს ქალაქი ერთ დროულად მესამედ ხარჯს ათი ათას თუმანს და შემდეგში ყოველ-წლობით ათას თუმანს, თუ არაო? გუშინ-წინ ქალაქის გამგეობას დაუდგენია ამის შესახები ცნობები ჯერ ქალაქის სკოლათა გამგე კომისიას მოეთხოვოსო.

◆ პოლიცმეისტერს დაუვალებია ბოქაულებისათვის, განსაკუთრებული **თვალ-ყური ადევნეთ,** რომ ქალაქში ისეთი ებრაელები არ ცხოვრობდნენ, რომელთაც დანიშნულ ადგილების გარდა ცხოვრება აღკრძალული აქვთო. ამ ბოლოს დროს აღმოუჩენიათ ისეთი ებრაელები, რომელთაც ეს წესი დაცული არ ჰქონიათ.

◆ სამოსწავლო ოლქის მზრუნველმა **დააბარა ტფილისის საშუალო სასწავლებლების ინსპექტორებს,** ყოველ-კვირა ერთად თავი შეიყარეთ და მოსწავლეთა სასწავლებლების გარედ ყოფა-ქცევის შესახებ სჯა გქონდეთო. პირველ სხდომაზე დაუდგენიათ, დავავალოთ მოსწავლეებს დაწესებული ტანთ-საცმელი ატარონო.

◆ **გადამდებ ავადმყოფთათვის სახლები დაამზადა** ქალაქმა და ოქტომბრის პირველ რიცხვებში კიდეც აკურთხებენ და საავადმყოფოები გაიხსნება. საექიმო ნაწილის გამგე ინსპექტორი სტეფანოვი სთხოვს ქალაქის გამგეობას, დაუჩქარეთ ორდინატორ-ექიმების მოწვევაო.

◆ ვინმე პორფირიევი ქალაქს უჩივის ხუთას თუმნამდე ზარალს, რომელიც 22 წლის განმავლობაში იმისს ეზო-სახლისათვის მოვარდნილ წყალს მოუტანია ქალაქის დაუდევრობისა გამო. ეს საჩივარი ოლქის სასამართლოსათვის განუცხადებია მომჩივანს და იმასაც სთხოვს, დაავალეთ მეზობელი ირიცფუხოვი წვიმის წყლის გასაშვები მილი თავისს ეზოზე გამოაყვანინოსო.

◆ ვიღაც ლანგეს შემნახველ-გამსესხებელ კასსის წიგნაკი დაუკარგავს, ოცის თუმნისა, დანოტები. პოლიცია დაეძებს პატრონს და ვერ უნახავს, მაშინ როდესაც საადრესო სტოლიცაა გამართული და მეეზოვე-პოლიციელებისაგან შედგენილი სიები კარ-და-კარ მცხოვრებთა.

◆ როგორც გვატყობინებენ, პარასკევს, 20 სექტემბერს, სოფელ საგარეჯოში შემდეგი ამბავი მომხდარა: 15 მუშა-კაცი მინდვრიდან მიერეკებოდა თურმე 45 სულს საქონელს. უეცრად თავს დასხმიან შეიარაღებული თათრები, რომელთაც ხელები გაუკრავთ ხალხისთვის და თან წაუყვანიათ როგორც ეს ხალხი, ისე საქონელი. ამ ნაირად გაუვლიათ 60 ვერსამდე. როდესაც მტკვარს მოახლოვებიან, თათრებს მეორე ნაპირას გაუყვანიათ საქონელი, ხოლო ხელებ-შეკრულ ხალხისათვის დაუხსნიათ, ეხლა სადაც გინდათ, იქ წადითო. საგარეჯოელები მესამე დღეს დაბრუნებულან შინ. ეს ამბავი უცნობებიათ ადგილობრივ ბოქაულისათვის, მაგრამ დღევანდლამდე ავაზაკების კვალისთვისაც ვერ მიუგნიათ. ამ ორის კვირის წინად ერთ-მცხოვრების ვენახში გადასულა 6 კაცი ყურძნის მოსაპარავად. შეუტყვია დარაჯს, უსროლია თოფი და ერთი დაუჭრია. ასეთი მაგალითები ბოროტმოქმედებისა თითქმის ყოველ დღე ჰხდება სოფელში.

◆ გორის მაზრის უფროსი ატყობინებს სამკურნალო გამგეობას, რომ მეჯვრისხევის სასოფლო სამკურნალოს შესანახად ადგილობრივ მცხოვრებთა შორის 18 სექტემბრამდე შეუკრებიათ სულ 1550 მან. 70 კაპ.

◆ რედაქციამ მიიღო: 1) „ქართულის ანბანის თაიგული", შედგენილი გ. ტატიშვილის

ფელეტონი

წერილი ლონდონიდან

1 *)

აგიტაცია სასკოლო რეფორმის წინააღმდეგ.—ხასიათი და მნიშვნელობა დამატებით არჩევნებისა.

საზოგადოებრივ ცნობიერების გამოღვიძებასა და ხალხის გამოფხიზლებას ყველაზე მეტად ხელი შეუწყო სამინისტროს და კლერიკალების გალაშქრებამ თავისუფალ სკოლის და საელემენტარო სწავლა-განათლების აწ არსებულ სისტემის წინააღმდეგ.

ომის დროს თავ-გასულმა და პარლამენტის უმრავლესობით ზურგ-გამაგრებულმა სოლსბერ-ჩემბერლენის სამინისტრომ გადასწყვიტა დემოკრატიისა და რადიკალიზმის სავსებით დამარცხება: არც აცივა, არც აცხელა, აიღო და სკოლები გადასცა სამღვდელოებას—ინგლისში ანგლიკანთა, ხოლო ირლანდიაში კათოლიკეთა ეკკლესიისას.

დღემდე არსებულ სისტემით (მიღებულია 1870 წელს) საელემენტარო სკოლა თვით საზოგადოებისა და ხალხის კანტროლის ქვეშ იმყოფება. ხალხი ირჩევს (ხმის უფლება ყველასა აქვს) განსაკუთრებულ სასკოლო კომიტეტებს (School Board), რომელნიც აარსებენ სკოლებს, განაგებენ ფინანსებს, სწავლა-აღზრდას და სხვათა დამოუკიდებლად ჰნიშნავენ მასწავლებლებს. კანონით სკოლაში არც ერთ ეკკლესიას და სექტას არა აქვს უპირატესობა მინიჭებული; თვით სამღვთო სჯულის სწავლება განსაზღრულია ამბების გადაცემით ძველ და ახალ აღთქმიდან, ამასთან მაწავლებლადაც საერო კაცი ინიშნება. ამა თუ იმ ეკკლესიის ან სექტის კატეხიზმო უნდა ასწავლოს სკოლის გარედ იმ სექტის სამღვდელოებამ, რომელსაც ბავშვის დედ-მამა ეკუთვნის. ამ შემთხვევაში საქმე ნება-ყოფლობით უნდა მორიგდეს დედ-მამასა და სამღვდელოების შორის.

ამ სისტების შემოღების პირველ დღესვე ანგლიკანთა ეკკლესიის კლერიკალებმა *) კათოლიკე სამღვდელოებასთან ერთად ერთი ვაი-უშველებელი ასტეხეს. მეცნიერებისა, აზროვნებისა და თავისუფლების მდევნელთ მოულოდნელად წუწუნ-გოდება მორთეს სკოლისა და სწავლა აღზრდის ვითომ შელახულ თავისუფლების გამო. როგორც დღეს საფრანგეთში იეზუიტები გაჰყვირიან: „გაუმარჯოს თავისუფლებასაო!" ე. ი. თავისუფლებას მორალის დასამახინჯებლად და შუა საუკუნოების წყვდიადის მოსაფენად, ისე ინგლისში კლერიკალები თხოულობდნენ თავისუფლებას. მაგრამ თავისუფლება თავისებურად ესმოდათ: უნდოდათ კვაკერებისა, ბაპტისტებისა, მეტოდისტებისა და სხვათა ბავშვებისათვის ანგლიკანთა ან კათოლიკეთა ეკკლესიის კატეხიზმო ესწავლებინათ. საბედნიეროდ, კლერიკალებმა ვერაფერი გაიტანეს და ვერავინ შეაცდინეს: მოწინააღმდეგენი თვალის ჩინივით უვლიდნენ სკოლას და გაფაციცებით თვალყურს ადევნებდნენ 1870 წლის კანონის შესრულებას.

მაშინ კლერიკალები კერძო, ეგრედ წოდებულ „ნება-ყოფობით სკოლების" დაარსებას შეუდგნენ. კონსერვატიულ სამინისტროების დროს მოახერხეს და მთავრობას ფული გადაადებინეს ამ სკოლებისათვის, სადაც მღვდლები განაგებენ სწავლასა და ადმინისტრაციას. არც ეს იკმარეს. უნდოდათ ან სავსებით ხელთ ჩაეგდოთ საზოგადო სკოლები, ან სრულიად დაემხოთ სახალხო განათლების ახალი სისტემა, რომელიც წლითი-წლობით ზურგს იმაგრებდა.

დიდხანს იმათი მეცადინეობა უნაყოფოდ რჩებოდა. მაგრამ, აი, მოიკრიბეს მთელი თავიანთი ძალ-ღონე და დაიწყეს მედგარი პროპაგანდა მეცნიერებისა და ფილოსოფიის წინააღმდეგ. ინგლისის კლერიკალებმა, როგორც იეზუიტებმა საფრანგეთში, შეჰქმნეს ძლიერი პრესსა, რომლის ფურცლებიც მეტად იაფად, თითქმის მუქთად მოჰფინეს სოფლებსა და ქალაქებს. მიწასთან გაასწორეს ამ ფურცლებში მეცნიერების აღმოჩენანი და გამოკვლევანი; თვით მეცნიერება გვერდში ამოუყენეს უზნეობას და „გამნადგურებელ" თეორიებს. ყველა ამით მიიმხრეს როგორც უვიცნი ხალხიდან, ისე მდიდარნი და წარჩინებულნი და ერთნიცა და მეორენიც დაარწმუნეს, რომ კლერიკალიზმის გარეშე იმათ უფლება-უპირატესობებს დიდი განსაცდელი მოელის.

იმათი პროპაგანდა, რომელსაც მხარს უჭერდნენ „პრიმროზ-ლიგა" *), უთვალავი კლუბები, საზოგადოებანი და კავშირები, თანდა-თან მაგრდებოდა და ძლიერდებოდა. ხოლო როდესაც 1895 წელს სალიბერალო სამინისტრო დაამხეს შეერთებულის ძალით ანგლიკანთა და კათოლიკეთა სამღვდელოებამ, ლენდ-ლორდებმა, ბირჟის ბატონებმა, ლუდხანებისა და ყავახანების პატრონებმა; როდესაც გზა-კვალ დაბნეული საზოგადოებრივი ცნობიერება სამარცხვინო ომში ჩაითრიეს, —კლერიკალებმა გაიფიქრეს, ეხლა-კი დაგვიდგა მარჯვე დრო, ეხლა-კი შევძლებთ საზოგადო სკოლის დამხობასაო. ბალფურმა აი სწორედ იმათის გავლენით შეიტანა პარლამენტში კანონ-პროექტი სახალხო განათლების შესახებ.

ამ პროექტით უქმდება სასკოლო ადმინისტრაციის არჩევა და ეს საქმე ევალება ქალაქისა და თემების საბჭოებს. ეგრედ წო-

---

*) იხ. „ცნ. ფურც." № 1924.

*) ანგლიკანთა ეკკლესიაში ძლიერი კათოლიკეთა დასია. ეკკლესიაში კათოლიკურ მოძრაობაზე როდისმე შემდეგ მოვილაპარაკებთ.

*) „პრიმროზ-ლიგა" დიზრაელის თაყვანის მცემელთა არისტოკრატიული ორგანიზაციაა, დაარსებული საბრძოლველად თანამედროვე ევოლიუციონიზმის ფილოსოფიისა და მეცნიერებათა ინდუქტიურ მონიზმის წინააღმდეგ. ამავე საზოგადოებას აზრადა აქვს დემოკრატიასთან და სალიბერალო დასის პროგრესიულ რეფორმებთან ბრძოლა. ლიგა საოცრად მდიდარია. წევრებად არიან არისტოკრატია, სამღვდელოება და ისინი, ვინც მუდამ ჟამს ადგილებს, კონცესიებს და საფინანსო კომბინაციებს დაეძებენ. მაგრამ უმთავრესს იმის ძალას შეადგენენ მანდილოსანნი, რომელთაც ხელმძღვანელობს სამღვდელოება როგორც ანგლიკანთა, ისე კათოლიკეთა ეკკლესიისა. ლიგას მთელი იერარქია ჰყავს, აგენტები, მქადაგებელნი, რომელთაც ჩინები, ორდენები და საჩუქრები ეძლევათ. დისციპლინა სამაგალითოა. ლორდმა სოლსბერიმ, ბალფურმა და სხვებმა არა ერთხელა და ორჯელ შეაქეს ის სამსახური, რომელიც ლიგამ რეგრესისა და ობსკურანტიზმის საქმეს გაუწია.

მიერ. მოქცეულია, შიგ გრიგოლ ტატიშვილის მიერ ამოჭრილი დასითვით საქარგი ანბანი. ბოლოში დართული აქვს ფერადის წამლით დახატული ტარასი არქიმანდრიტის სახე. ჰღირს 1 მან. 50 კაპ. 2) რუსული წიგნი „Организація учрежденій для душевно-больныхъ“. ექიმის მიხეილ გედევანიშვილისა, გამოცემული კავკასიის სამკურნალო საზოგადოების მიერ.

✦ ყვირილის სამკითხველოს გამგენი გვთხოვენ დავბეჭდოთ: „მადლობას ვუცხადებთ იმათ, რომელთაც კეთილ ინებეს და ყვირილის სამკითხველოს ქართული და რუსული წიგნები შემოსწირეს. შემომწირველთა სია: 1) გერმოგენ და ამბერკი გაბიჩვაძეებმა და ვარლამ გორგაძემ „მოამბე“ და „ცნობ. ფურც.“ სურათებიანის დამატებით 1901 წ., 2) დეკ. დ. ღამბაშიძემ სურათები: ა) წერეთლისა, თამარის სურათი („ვეფხვ. ტყაოს.“) და წიგნები: „არჩილიანი“, „ბაში აჩუკი“ და რუსული (Батонеби и микроби) ორი ცალი; 3) პავლე მიხეილის ძე საყვარელიძემ—ერთი ცალი „ბაში-აჩუკი“; 4) გ. დ. მაღლაკელიძემ ორი ცალი რუსული წიგნი (ტურგენევისა და გრიგოროვის თხზულებანი), 5) ივ. ჭამკოტაძემ—ერთი ცალი „გედები“; 6). ნ. რ. გიგაურის ასულმა ერთი ცალი „ისტორია ბავშვის სულის მდგომარეობისა“ და 7) გლ. ჩირგაძემ „ჟუკოვსკი სურათით“.

✦ დიღმელი იაკობ ჯაბადარ-კოლოტაურის ქალი ოლღა ორი წელიწადი დაღისტანში იყო და სწავლობდა ხალიჩა-ფარდაგების ქსოვას. შეუსწავლია და დაბრუნებულა კიდეც. ეხლა აპირობს დიღომში მოაწყოს საქმე და იქაური ქალები მიიბაროს სასწავლებლად. საქმის რიგზედ მოსაწყობად ხსენებულ ქალს ქონება არ შესწევს; სასურველია, ამ საქმეს ვინმემ ყურადღება მიაქციოს და შემწეობა აღმოუჩინოს.

✦ ქუთაისის გუბერნიის მცხოვრები, მამასახლისად ნამყოფი პავლე ახალაია პასუხის გებაში მიუციათ სამსახურის დროს სხვა და სხვა ბოროტ-მოქმედებათა ჩადენისათვის. ქუთაისის ოლქის სასამართლოს ამ რამდენისამე ხნის წინად განუხილავს ახალაიას საქმე, დამნაშავედ უცვნია იგი და გადაუწყვეტია პატიმართა გამასწორებელ რაზმში 8 თვით გაგზავნა. ახალაიას საქმე გადაუტანია სამოსამართლო პალატაში, რომელმაც გადასწყვიტა მოსპოს სრულიად ეს საქმე.

✦ 22 სექტემბერს კახეთის ქუჩაზე საგარეჯოს მცხოვრები ქიტესა დევდარიანი წაქცეულა და იქვე გარდაცვლილა.

✦ აგვისტოს განმავლობაში ტფილისის მიხეილის სამკურნალოში მწოლარე ავადმყოფნი ქალი და კაცი ყოფილა სულ 469. აქედან აღნიშნულ თვის განმავლობაში გარდაცვლილა 30 ავადმყოფი.

✦ 22 სექტემბერს ნავთლუხში ტფილისის ვაჭრის სოლომონ არუშანოვის მსახურს დაუკლავს 2 საქონელი. გატყავების დროს მიუსწრია არუშანოვს და უკითხავს, ვისი იყო დაკლული საქონელი. დამკვლელს უთქვამს, ეს საქონელი მორეკა გ. გალუსტოვის ყანების ყარაულმა ქიტესა ნორიელმა და მე გადმომცა დასაკლავად და გასასყიდადაო. დამნაშავეს დაკლული საქონელი ჩამოართვეს და დააპატიმრეს. ხორცი პოლიციის განკარგულებით ავლაბარში ღარიბ მცხოვრებთ დაურიგეს. გამოძიება სწარმოებს იმის გასაგებად, ქურდებმა ვის მოჰპარეს საქონელი.

ქუთაისის ახალი ამბები

✦ ორშაბათს, 23 სექტემბერს, ქუთაისის ქალაქის საბჭომ აირჩია ქალაქის მდივნად ბ. ივ. ჯაფარიძე, რომელმაც წელს დაამთავრა ადესის უნივერსიტეტში ბუნების მეტყველების ფაკულტეტი. კენჭი იყარეს ბ. ივ. ჯაფარიძემ და ბ. ხოჯაშვილმა; პირველმა მიიღო 33 თეთრი, 3 შავი, მეორემ 4 თ. და 32 შავი.

✦ იმავე დღეს საბჭომ გადასწყვიტა დაევალოს ქალაქის თავს, დ. ა. ლორთქიფანიძეს, პეტერბურგს წასვლა და შავი-ზღვის ნაპირა მომავალ რკინის გზის ქუთაისამდე გაგრძელების შესახებ ზრუნვა.

პატარა დღიური

გავარდა ზარბაზანი, „განხდა ხმა განგაშისა“ და დაიწყო სროლა სასტიკი და შეუბრალებელი. მოწინააღმდეგენი ერთმანეთს „საზაფხულო საკრებულოს“ სიმაღლეებზე შეჰხვდნენ, იქ, სადაც წინად დაფა-ზურნისა, დუდუკ-ჭიანურისა და მოქეიფეთა „მრავალ-ჟამიერის“ ხმა გაისმოდა ხოლმე. 11 საათი იყო, როდესაც ჯარი სანგლებსა და სიმაგრეებს მიაწყდა. საუკეთესო ადგილები და პოზიციები სოლოლაკელთა ქვეითა ბატალიონებმა დაიჭირეს. ამ ბატალიონების ჩასუქებულ და მშვენივრად შეიარაღებულ ჯარის-კაცებს სახეზე ღიმილი უქროდათ. ნელი ნიავი ოდნავ აფრიალებდა აბრეშუმის დროშას, რომელზედაც ოქროს ასოებით წაეწერათ: გაუმარჯოს სოლოლაკსა და მდიდრებს“!

ბრძოლა დილით დაიწყო და ხუთ საათზე მოედანი უკვე სავსე იყო დაჭრილ-დაკოდილებით. სოლოლაკმა გაიმარჯვა. დამარცხდნენ როგორც „საბოლოო სიების“ შემდგენელნი, ისე სხვა ჯგუფისა და დასის წარმომადგენელნი.

ხომ მოგახსენეთ, ვგონ, ამ სიებისა არაფერი მწამს-მეთქი, მთელი ექვსი თვე იმტვრიეს თავი, დანიშნეს კომიტეტი, ადგინეს სიები და ყველა ეს მხოლოდ იმიტომ, რომ 4 კაცი აერჩიათ. დიახ, მხოლოდ ოთხი კაცი გამგე კომიტეტის სიიდან...

სულ ამ კომიტეტმა 31 კანდიდატი დაასახელა, კენჭი იყარა 27 კაცმა, ხოლო აარჩიეს 16. აქედამ თორმეტი „დვორცოვიე ნომრების“ კანდიდატია. წადი ეხლა და გაიგე, სადა მარხია ძაღლის თავი!

ასე გათავდა ეს პირველი ბრძოლა. კერძოთ ჩვენ, ქართველებმა საოცრად ვისახელეთ თავი. უწინდელის გმირობითა და ვაჟკაცობით დაიმედებულებმა ურიცხვ ჯარის წინააღმდეგ მხოლოდ 57 კაცი გავგზავნეთ. იმედი გვქონდა, რომ ეს 57 კაცი მტერს ზურგზე ბოლს აადენდა და კუდით ქვას ასროლინებდა. განა საეჭვო იყო ვინმესთვის, რომ 57 ქართველი პირველ იერიშის შემდეგვე დაიფრენდა 181 სომეხს! ამათ ხომ აღლის ტრიალისა და ფულის ანგარიშის მეტი არა იციან-რა!

მაგრამ... მაგარი ის არის, რომ უწინდელი უნარიც დავკარგეთ და დღევანდელი ალღოც ვერ ავიღეთ. დღეს გამბედავნი, გულადნი და მამაცნი ჩვენ, ქართველები, მხოლოდ გაზეთის ფურცლებზედა ვართ: ვყვირით, ცას თავზე ვუქცევთ მტერს, ვემუქრებით ასე და ისე გიზამთო, საქმით-კი ვერაფერს ვერ ვაკეთებთ.

[illegible]არა, სასაცილო როგორ არ არის, სამწუხარო რომ არ იყოს: „ივერია“-მ მთელ სომხობას ბოიკოტი გამოუცხადა და ის-კი ვერ მოხერხდა, რომ არჩევანებისთვის 230 ქართველ ამომრჩევლიდან ნახევარს მაინც მოეყარა თავი. ამის შემდეგ, განა ხმა-ღა ამოგვეღება. ნუ თუ იმედი უნდა გვქონოდა, რომ „დვორცოვიე ნომრების“ დასი, რომელმაც ეს რამდენიმე წელიწადია მშვენივრად მოიკალათა თბილ ქალის გარეშემო, ჩვენ კანდიდატებს ამოირჩევდა?..

„ივერია“-მ თავის თავს ხომ უშველა და ეხლა სხვას უწევს მფარველობას და საყვედურს აცხადებს, რატომ რუსები არ აარჩიეთო. აი რასა სწერს ეს დარბაისელი გაზეთი:

„მაგრამ ეს როგორღა მოხდა, რომ იმ 13 რუსში, რომელთაც მოისურვეს ხმოსნად ყოფნა, მხოლოდ ერთი კაცი სცნო ღირსად ჩვენმა შორს-მხედველმა და წინ-დახედულმა სომხობამ და კეთილ ინება იმის არჩევა“.

ასე თუ ისე, ბაქი-ბუქი ბევრი გვქონდა, მტვერი დიდი ავადინეთ, მაგრამ გაკეთებით-კი ვერა გავაკეთეთ-რა.

Spectator

წერილი საჩხერიდან

ამინდის უეცრად შეცვლა და ჭინახულის გაფუჭება.—დღეობები.—საჩივრები

აქეთკენ 10 სექტემბრიდან 15-მდინ გამუდმებით სწვიმდა, რასაც სიცივე და თოვლიც მოჰყვა ახლო-მახლო მთებზე. არავის ახსოვს, შუა სექტემბერში ასეთი სიცივეები. სიცივემ დიდად დააზარალა სიმინდი და ყურძენი: სიმინდს ნამეტანმა სინესტემ ობი გაუჩინა, ხოლო ყურძენი დასეთქა და გააფუჭა. თუმცა სიმინდი ბევრს ადგილას ჯერ მოუსვლელია, მაგრამ ამ სიძვირის დროს მის მოსვლას ვინ მოუცდის, დაუწყეს ტეხვა და მზეზე ხმობა, რომ დამშეული ოჯახობა დროზე დააპურონ.

გაჭირვებაა აქეთ, მაგრამ 8 სექტემბერს მღვთიშობლობა დღე მაინც დიდის ამბით იდღესასწაულეს. ათასგვარი უსაჭიროესი საქმე აქვთ გასაკეთებელი, დალოცვილებს, მაგრამ მაინც ამ დღეობებს არ ივიწყებენ და უსარგებლო ხარჯის მოსპობას არა ჰფიქრობენ. რაც ამ დღეს თითო სოფელს ხარჯი მოუვიდა, მით რას არ გაიკეთებდნენ?

რაც აქაურს სასამართლოში საქმეებია, იმდენი არა მგონია, სხვაგან იყოს სადმე. 2—3 მანეთის საღირალ საქმეზე უჩივიან ერთმანეთს და ხუთი იმდენი თხოვნების დაწერასა და „ვექილების“ დაქირავებაში უნდებათ, მუშაობაზე მოცდენა კიდევ მეტია... ბევრს ათი თუმნის საქმე ას თუმნად დაჯდომია, საქმეს არაფერი ეშველებია. დავასახელებ მაგალითს. სოფელ ბაჯითის მცხოვრებთ აბრამიშვილებს და ტყემალაძეებს სახნავ-სათესს და ტყიანს მამულზე აგერ ათი წელიწადია დავა აქვთ. ორივე მხარეს დიდი ხარჯი და ზარალი მოუვიდა, მაგრამ საქმე ჯერ კიდევ დაუბოლოვებელია. ხარჯსა და ზარალს გარდა სხვაფრივაც საკეთილო არა მოსდევს-რა ამ დავებს. ბაჯითის მცხოვრებთა უმრავლესობას აბრამიშვილნი და ტყემალაძენი შეადგენენ. ამ საქმემ ისე გადაჰკიდათ, რომ სოფლის არავითარს საქმეში ერთმანეთს არ ეკარებიან, ჩხუბობენ და ერთი დავიდარაბა აქვთ.

საჩხერელი

დაბა-სოფლები

ალაგირი (ოსეთი). ამ ბოლოს დროს ჩვენც გვეწვივნენ ქურდ-ბაცაცები. არდონს და ალაგირს შორის ეხლა ღამე სიარული თითქმის შეუძლებელია. ამას წინად ოთხი შეიარაღებული კაცი თავს დაეცა ალაგირიდან ექვსის ვერსის მანძილზე ერთ ოსს; უნდოდათ წაერთმიათ ცხენი, რომელზედაც თვითონ იჯდა, მაგრამ ვერ წაართვეს. თოფი ორჯელ ესროლეს, მაგრამ არა დაშავებია-რა. მაშინ რევოლვერი უსროლიათ და დაუჭრიათ როგორც კაცი, ისე ცხენი. ამის შემდეგ გამოჰკიდებიან მედროგე ლობჟანიძეს, რომელიც იქვე მონავალეიყო. ლობჟანიძეს ვერაფერი უყვეს, რადგანაც ყარაულების ბინაში შეუსწრია. ნაშუაღამევს ასტეხეს თოფების სროლა და ზარის რეკა. მამასახლისი წავიდა ჩაფრებით, დაიჭირა ოთხი კაცი და მოიყვანა. მეორე დღეს დაჭრილს კაცს აჩვენეს ესენი. ერთი კაცი იცნო კარგად დაესწავლა ამ კაცის სახე, რადგანაც მთვარიანი ღამე იყო. ამისთანა ოინები ბევრი ხდება.

აქეთ მშვენიერი ამინდებია. მალე სიმინდის მტვრევასაც შეუდგებიან.

პეტრე მეტრეველი.

წერილი რედაქციის მიმართ

1902 წ. მაისის სეირნობიდან, რომელიც უგანათლებულეს კნ. თ. დ. გრუზინსკის მეთაურობით გაიმართა ქართულ დრამატიულ საზოგადოების სასარგებლოდ, შემოსავალი იყო:

ბილეთებისა . . . 1912 მ. 65 კ.
ბუფეტისა. . . . 646 მ. — —
სულ 2558 მ.—65 კ.

დებული „ნება-ყოფლობითი სკოლები“ უნდა შეინახონ ქალაქებმა და ხაზინამ. ხელმძღვანელობა ამ სკოლებს უნდა გაუწიონ განსაკუთრებულმა საბჭოებმა, რომლის წევრთა ორ-მესამედს სამღვდელონი შეადგენენ, ხოლო ერთ-მესამედს—ერის კაცნი. იგივე საბჭო ნიშნავს მასწავლებლებს. დანარჩენ სკოლებში მასწავლებლების დანიშვნა უნდა მოხდეს ადგილობრივ ეპისკოპოსის თანხმობით.

კლერიკალები, ჰგრძნობდნენ რა გამარჯვებას, წინ-და-წინვე სიხარულს ეძლეოდნენ. „პარლამენტის უმრავლესობა ცხვრის ფარასავით ბალფურის მონა-მორჩილია. ჩვენ მხარეს არიან აგრეთვე მდიდარნი და ძლიერნი ამა სოფლისანი; რაც შეეხება ხალხს, უმრავლესობას, იგი ჩვენის ჯარის გამარჯვებით თავ-ბრუ დახვეულია და ადვილად გაებმება მახეშიო“,—ჰფიქრობდნენ კლერიკალები და უვიცობის მოტრფიალენი.

მაგრამ შესცდნენ: დემოკრატიამ და პროგრესისტებმა ადრე შენიშნეს მოსალოდნელი განსაცდელი, მხნედ მოჰკიდეს საქმეს ხელი და მოუწოდეს ყველას ხალხის უფლების შემლახველებთან საბრძოლველად. იმ დროშას, რომელსაც სახალხო სკოლის დაცვა აწერია, ამოეფარნენ არა მარტო მუშათა კავშირები, კოოპერატორები, მასწავლებელ კაცთა და ქალთა საერო კავშირი, არამედ მეტოდისტთა, ბაპტისტთა, კვაკერთა და სხვათა დამოუკიდებელი ეკკლესიანი. ყველა ესენი იბრძვიან იმ უფლებისათვის, რომლის ძალითაც ინგლისის მოქალაქეს ნება აქვს **ამორჩეული** წარმომადგენელნი იყოლიოს და ამ წარმომადგენელთა წყალობით კანტროლი გაუწიოს ხალხის ქისიდან გაღებულ ფულის ხარჯვას. ეს ძირითადი უფლებაა, კონსტიტუციის მიერ მინიჭებული. ამ უფლების ძალით გამბედენმა გადასახადი არ მისცა კარლოს პირველს, რომელმაც ხალხისა და პარლამენტის უფლებათა შელახვა მოინდომა. აკი არც შერჩა უკანონო საქმე კარლოს პირველს...

სული და გული თავისუფალ ეკკლესიათა მოძრაობისა ნიჭიერი მქადაგებელი, ღვთისმეტყველების დოქტორი და რადიკალი კლიფორდია. გარდა იმისა, რომ კლიფორდი სწავლული ღვთისმეტყველია, იგი ჰუმანისტი და ფრიად განათლებული კაციც არის. ყველა იმის ქადაგებას სიყვარულის ბეჭედი აზის დავრდომილთა და ტანჯულთა მიმართ. გამიგონია იმისი სიტყვა, უბედურ და სისხლით მორწყულ სომხეთის დასაცველად წარმოთქმული; გამიგონია მეორე სიტყვა, წარმოთქმული სოლსბერის სამინისტროს წინააღმდეგ, რომელმაც პატარა გმირი, საბერძნეთი ოსმალეთის საწეწ-საგლეჯად გაჰხადა; გამიგონია მიტინგებზე წარმოთქმული სიტყვები, რომლებშიაც ომისათვის მიწასთან ასწორებდა საკუთარ მთავრობას, ბირჟისა და ოქროს მადნების ბტონ-პატრონთ, მოსყიდულ პრესსას და ყველა იმათ, ვინც თავიანთ ჯიბის გასასწორებლად ომი გამოიწვიეს; ჰკიცხავდა აგრეთვე იმ ყურ-მოჭრილ ბრბოს, რომელიც ოპოზიციას სახლებში უვარდებოდა და არა ერთხელ ემუქრებოდა თვით მჭევრმეტყველ მქადაგებელსაც...

თავის და თავად აშკარაა, რომ ასეთი კაცი ოპოზიციის აზრისა და გულის-[illegible] გამომთქმელი უნდა გამხდარიყო . . . .

სასკოლო რეფორმის საქმე სოციალურ და პოლიტიკურ ცხოვრების უპირველეს საგნად გადაიქცა. ამ ბოლო დროს საპარლამენტო არჩევნებზე კანდიდატს იმის და მიხედვით ირჩევდნენ, მომხრე იყო იგი თუ მოწინააღმდეგე კანონ-პროექტისა. მთავრობის მომხრენი ყველგან გააშავეს. ბიურიში, სადაც კონსერვატორები ბატონობდნენ, იმათი კანდიდატი დამარცხდა; ლიდსში კონსერვატორთა უმრავლესობა ლიბერალების მხარეს გადავიდა; ხოლო კენტში, სადაც სამინისტროს წევრის ფორსტერის მომხრენი 4000 ხმით სჯარბობდნენ მოწინააღმდეგეთ, დამატებით არჩევნებზე აგვისტოს კონსერვატორთა უმრავლესობა 800 ხმით-ღა გამოიხატა. ეს ხომ პირრის გამარჯვებასა ჰგავს!...

ამ დამარცხებებმა და აგიტაციამ კანონ-პროექტს სამინისტროს მეგობართა შორისაც მოუპოვა ოპოზიცია. ხელი შეუწყო ამას მეცნიერთა სიტყვებმა ბრიტანიის ასოციაციის უკანასკნელ კრებაზე (ბელფასტში, წარსულ კვირას). პროფ. დიუვარმა, მაგალითად, საშინლად გაჰკიცხა თანამედროვე სისტემა სახალხო განათლებისა. „თეოლოგია და კლასიციზმი კი არა, რეალური და სატეხნიკო განათლებაა ინგლისისათვის საჭირო, რომ კონტინენტის სახელმწიფოებს დავეწივნეთ. 30 წლის მეცადინეობაა საჭირო, რომ ჩვენ მეტოქეს, გერმანიას, გვერდში ამოუდგეთო“. ინგლისის შემოქმედებამ შეჰქმნა წარსულის საუკუნის გამოგონებანი და წარმატებანი, სთქვა პროფესორმა არმსტრონგმა, მაგრამ ჩვენ ვერ გამოვიჩინეთ ცოდნა და უნარი: ეს გამოგონებანი შეითვისეს სხვა ხალხებმა, რომელთა სახალხო სკოლაც რაციონალურ და ყველასათვის მისაწვდომ ნიადაგზეა დაყენებულიო.

ამ გვარ სიტყვებს ბევრს გაიგონებთ ეხლა. თვით კონსერვატიულმა „ტაიმს“-მა, სამინისტროს ამ ფარ-ხმალმა, გუშინდელს ნომერში საშინლად გაჰკიცხა კანონ-პროექტი. წერილი სავსეა სარკასტიულის სიტყვებით, რომელიც მონტესკიეს „სპარსულ წერილებსა“ და ვოლტერის „კანდიდის“ გაგონებთ. რაც შეეხება საზოგადოების გამოღვიძებას, ისეთი მიტინგები, როგორიც ამას წინად ჰაიდ-პარკში მოხდა (გამოიტანეს 100 დროშა, გამართეს 16 პლატფორმა ორატორებისათვის), არა ერთი და ორი იმართება ამ ბოლოს დროს...

დღეს, 20 სექტემბერს, მოხდა საშუალო და ჩრდილოეთ საგრაფოების დელეგატთა მიტინგი პროტესტის გამოსაცხადებლად. დეპეშა იუწყება, რომ მიტინგს დიდი წარმატება აქვსო.

„შოტლანდიელ კოვენანტთა მოძრაობის შემდეგ (სარწმუნოებრივი კავშირი 1638 წ.) ინგლისს ჯერ არ უნახავს დამოუკიდებელ ეკკლესიათა ასეთი ერთ-სულობა“-ო, ამბობს ლიბერალთა გაზეთი „დეილი ნიუს“-ი. მართალიც არის. მაგრამ გაიმარჯვებენ კი პროგრესისტნი? ამ ხანად მგონი, რომ გაიმარჯვებენ.

ლონდონელი.

ინებეს და შემოსწირეს:

დიდმა მთავარმა ნიკოლოზ მიხეილის ძემ —100 მ., მთავარმართებელმა თ. გოლიცინმა.—100 მ. პრემიები ბილეთები იყო: დ. ზ. სარაჯიშვილისა—50 მ., ბ-ნ არამიანცისა—50 მ., უგანათ. კნ. გრუზინსკისა—25 მ., კნ. ხერხეულიძისა—25 მ., თ. ზ. ერისთავისა—25 კ., ა. ი. მანთაშევისა—25 მ., პ. გ. ზუბალაშვილისა—25 მ., ა. ი. თაიროვისა—25 მ., პრინცესსა მიურატისა—25 მ., თითო თუმნიანი: ი. ბ. გასპარიანცი, კნ. რ. დ. მელიქიშვილისა, ბ. პუშკარიო, კნ. ქ. ბარათაშვილისა, კნ. ი. გ. თუმანიშვილისა, თ. ი. დ. რატიშვილი, ნ. ბ. პრაკოპე, ბ. შაჟეტ, ბ. დ. სტაროსელსკი, ბ. ფიშერი, ბ. გ. ფითოევი, ს. გ. ჩემესოვი, თავ. ბ. ჩოლოყაშვილი, ი. ნ. სვეჩინი, ი. გ. ტერ-დავიდოვი, კნ. მ. გ. ორბელიანი, ვ. მ. თამამშევი, ქ. პ. ხაჩატუროვი, ი. ს. ბეზირგანოვი, კლ. გ. სერებრიაკოვისა.

ხარჯი: კიოსკები გამართვა .	203—65 კ.
ბუფეტი	213—05.
ორკესტრი . . .	350 მ. —
ბალის ქირა, მოწყობა და სხვა ხარჯი. .	448—85.
სულ	1215—55.

წმინდა შემოსავალი დარჩა 1343 მ.—10 კ.

ამ საქმის მეთაურსს—უგანათლებულესს კნ. თამარა გრუზინსკისას შრომისთვის და შემომწირველთ გულწრფელ მადლობას სწირავს

ქართულ დრამატიულ
საზოგადოების გამგეობა

უცხოეთის წვრილი ამბები

ამოცანის ახსნაც ასე უნდა. ცოლ-ქმარი ზღვაში მოგზაურობდა. ქმარი მათემატიკის პროფესორი იყო. ოხუნჯობა მოინდომა ქმარმა და ცოლს ამოცანა უთხრა:

— ამ გემის სიგრძეა 60 საჟენი, სიგანე—17 საჟენი და წყალშიაც ერთ საჟენზე ზის გემი. აბა, გამოიცან, რამდენი წლისაა ამ გემის კაპიტანი?

— ოცდა თვრამეტის წლისაო—სწრაფად მიუგო ცოლმა.

— მერე როგორ? შენ საიდან იცი?

— თვითონ მითხრა, ამდენის ხნისა ვარო—გულუბრყვილოდ მიუგო ცოლმა ქმარს.

* *

შაჰი ლონდონში. ლონდონის გაზეთებში ერთი სასაცილო ამბავია აწერილი, რომელიც სპარსეთის შაჰის იქ ყოფნის დროს მომხდარა. შაჰი თავისს საელჩოდან უესტმინსტერის სასახლისაკენ მიდიოდა მეფის ედუარდ მე-VII გვირგვინის კურთხევაზედ. გზაში ერთი გროვა ამერიკელ მოგზაურთა შეეჩეხა; მოგზაურნი კარგად შექეიფიანებული იყვნენ. ერთი ამათგანი შაჰის კარეტას მიუახლოვდა, მეგობრულად შაჰს ხელი გაუწოდა და ენა-ბორძიკით უთხრა:

— ბატონო შაჰო! აბა, ერთი მეგობრულად გამომიწვდინეთ ხელი თავისუფალ ამერიკელს.

შაჰმა ყურიც არ ათხოვა ამ სიტყვებს და „თავისუფალ“ ამერიკელს ნამდვილ აღმოსავლეთური ზიზღი უჩვენა სახით.

დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

23 სექტემბერი

კამიშლოვი. სამაზრო ერობის კრებამ დაადგინა, ვიშუამდგომლოთ, რომ სახალხო სკოლაში სახელოსნო შრომათა განყოფილება დაარსდეს.

კონსტანტინეპოლი. გუშინდელ სადილსა და წარმოდგენას ილდიზ-კიოსკში დაესწრნენ: დიდი მთავარი ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე, ელჩი ზინოვიევი და ილდიზის წარჩინებულნი. სადილის შემდეგ სულთანსა და დიდს მთავარს ცოტას ხნით თათბირი ჰქონდათ; დიდმა მთავარმა მიღებისა და პატივისცემისათვის მადლობა გადაუხადა. სულთანმა ორი არაბული ცხენი აჩუქა დიდს მთავარს. გენერალს პალიცინს ოსმანიეს ვარსკვლავი უბოძა, გენერალს შევედიოვს—მეჯიდიეს ვარსკვლავი, კრუპენსკის— ოსმანიეს ვარსკვლავი მეორე ხარისხისა და გემზედ მოსამსახურეთ—ვერცხლის მედლები.

კონსტანტინეპოლი. შუადღისას დიდი მთავარი, რომელსაც თან ახლდა ელჩი ზინოვიევი, ამალა და საელჩოს წევრნი, ილდიზკიოსკს მივიდა, სადაც სულთანმა მიიღო გამოსათხოვრად. გამოთხოვება გულითადი იყო. დიდმა მთავარმა კიდევ გამოუცხადა სულთანს მადლობა პატივისცემისათვის და შემდეგ დოლმაბახჩეს სასახლეში წავიდა. პირველ საათს დიდი მთავარი გემზე წავიდა, რომ იალტას გაემგზავროს. სულთანის წარმომადგენლებმა და ელჩმა საელჩოს წევრებით მიაცილეს შავ-ზღვაში გასვლამდე.

პარიზი. გაზ. „ტან“-ი იუწყება, რომ დრეიფუსი ზოლას დასაფლავებას დაესწრო მას შემდეგ, როცა ქვრივს ორჯელ მოელაპარაკა. ცხედარის გაცილების დროს დრეიფუსი რეიხსტაგის დეპუტატად ყოფილს ლაზარსა და ინსტიტუტის წევრს მონოს მიჰყვებოდა გვერდით. სასაფლაოდან დაბრუნებისას პიკარსა და ლაბორის რომ ოვაცია გაუმართეს, ლაბორიმ სთქვა: „ჩვენ სამართლისა და სამართლიანობისათვის ვიბრძოდით და შემდეგშიაც ვიბრძოლებთ“. სახალხო განათლების მინისტრისა და ფრანსის სიტყვებმა შთაბეჭდილება მოახდინეს მსმენელებზე, განსაკუთრებით იმ ადგილას, სადაც დრეიფუსის საქმეს შეეხებოდნენ.

ათინა. მემკვიდრე-პრინცის ჭრილობა რჩება.

24 სექტემბერი

პეტერბურგი. რადგანაც მისის უდიდებულესობის საკუთარ კანცელარიის მთავარი გამგე გოფმეისტერი ტანეევი სხვაგან წავიდა, კანცელარიის მართვა მიენდო იმის ამხანაგს ბარონ ნოლდეს.—დიდი მთავარი კონსტანტინე კონსტანტინეს ძე 23 სექტემბერს პეტერბურგიდან რუსეთის სამხედრო სასწავლებლების დასათვალიერებლად წავიდა.—მოსკოვის სასახლის გამგეობის უფროსს გენერალ-ლეიტენანტს კუზნეცოვს 50 წლის სამსახურისათვის რესკრიპტთან ერთად ებოძა ორდენი ალექსანდრე ნეველისა პირველი ხარისხისა.

როსტოვი-დონზე. როდესაც საელექტრონო სადგურს ცეცხლი გაუჩნდა, ორის დამწვარის კაცის გარდა, ნახეს ნავთში გვამი სამის მუშისა. კაჩეგრის გვამი ჯერ არ უპოვნიათ. სადგური დაზღვეულია „იაკორის“ საზოგადოებაში 240,000 მანეთად.

ნიჟნი მარგილანი. ნაშუადღევის 2 საათზე მიწა ოდნავ იძრა. გასტანა მიწის ძვრამ ორ წუთს.

იერუსალიმი. მოვიდა მატარებელი იტალიელ მლოცველებით, რომელთაც კარდინალი ფერრარი მოუძღვით. საფრანგეთის მთავარმა ელჩმა წირვის დროს მაცხოვრის კუბოს წინ პირველი ადგილი დაიჭირა. იმის პირდაპირ დადგნენ სხვა კათოლიკე ელჩები. მაცხოვრის კუბოს მცველი მისაგებებელ სიტყვით დაჰხვდათ. საპასუხო სიტყვაში ფერრარიმ შეაქო ფაშის ნაყოფიერი მოქმედება.

ბრიუსელი. 23 სექტემბერს ბურთა გენერლების პატივსაცემლად მოახდინეს კრება, ამასთან დევეტმა შენიშნა: „ყველგან აღფრთოვანებასა ვხედავთ, მაგრამ საკითხავია: რატომ დახმარება კი არ აღმოგვიჩინეს?—ღმერთმა ისურვა, რომ დამოუკიდებლობა დაგვეკარგნა; ჩვენ ერთგულნი ვიქნებით ახალის სამშობლოსი, თუ ზავის პირობანი შესრულებული იქნება. ინგლისელები ჩვენი მტრები აღარ არიან. მე ხელი მოვაწერე ხელშეკრულებას და არც გადავუხვევ ჩემ სიტყვას.“

ვენა. მალე დაიწყება რეიხსრატის კრებები.

ლონდონი. შანხაიდან იტყობინებიან, რომ 23 სექტემბერს გარდაიცვალა ნანკინის ვიცე-კოროლი ლიუკუნიი.

ვაშინგტონი. ვილლემსტადიდან მოსულ ის ცნობით, გენერალმა მატოსმა მიიწვია პრეზიდენტი კასტრო მეამბოხეთა ჯარების დასათვალიერებლად, რათა ადგილობრივ დარწმუნდეს, რომ წინააღმდეგობის გაწევა შეუძლებელია.

იოკაჰამა. ამბობენ, ზღვათა მინისტრი თხოულობს ფლოტის გაძლიერებას; განზრახვა აქვთ, გააკეთონ დიდი გემი 6 წლის განმავლობაში, გარდა ამისა, 4 ჯავშნიანი გემი, 6 კრეისერი და რამდენიმე პატარა გემი; ჯავშნიან გემებს გააკეთებენ ინგლისში, კრეისერებს—ინგლისსა, საფრანგეთსა და გერმანიაში, ხოლო დანარჩენ გემებს—იაპონიაში. იაპონიის მისია ლონდონში გადაკეთებულ იქმნება საელჩოდ.

პარიზი. მარტინიკის გუბერნატორი დეპეშით იტყობინება, რომ მონ-პელეს მთა ისვრის ფერფლს, კვამლსა და ღვართ ქაფს, რომელსაც დიდი ზარალი მოაქვს.—სამხედრო სამინისტროს კაბინეთის უფროსის პერსენისა და გაზეთ „გოლუა“-ს თანამშრომლის პოლონეს შორის დუელი მოხდა ხმლებით. გენარალი მსუბუქად დაიჭრა ხელში. დუელის საბაბი ბეჭდვითი სიტყვით შეურაცხყოფა იყო.

ნიუ-იორკი. პანამიდან დეპეშით იტყობინებიან, რომ ადმირალმა კოზეიმ აკრძალა ჯარების და სამხედრო მასალის გადაზიდვა პანამათ, რასაც შეუძლია საქმის არევა. გენერალი სალაზარი აცხადებს, რომ ადმირალის მხრით საქმეში ჩარევა მოასწავებს შეერთებულ შტატებისგან კოლუმბიის უზენაეს უფლებათა და 1864 წლის ხელ-შეკრულობის დარღვევას. კოზეიმ მწუხარება განაცხადა იმის გამო, რომ იძულებულია ასე მოიქცეს, მაგრამ პირობას იძლევა, რომ ვაშინგტონში დაეკითხება მთავრობას.

ლონდონი. „სტანდარტ“-ი იტყობინება, რომ დურბანში დაატუსაღეს 41 ბური, რომელნიც ტყვეობიდან სამშობლოში ბრუნდებოდნენ და რომელთაც სახელმწიფო ღალატი დასწამეს. მათგან უმეტესობა კაპის ახალშენელია.

რედაქტორ-გამომცემელი ალ. ჯაბადარი

განცხადებანი

კავკასიის

საოლქო საინტენდანტო მმართველობა მოიწვევს ერობათა, მიწათ-მფლობელთა და სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებათა, რომელნიც-კი მოისურვებენ მიჰყიდონ საინტენდანტო მმართველობას პური (ხორბალი), გამოუგზავნონ ზემოხსენებულს მმართველობას ქალაქ ტფილისში ქაღალდი იმ რიგით, რომელიც დადგენილია სამხედრო უწყების მიერ სურსათ-ნუზლის სყიდვის წესთა მე-18 მუხლით. ქაღალდს უნდა ეკრას ორი გერბის მარკა სამ-სამ აბაზიანი და შიგ უნდა იყოს მოხსენებული: წოდება, სახელი, მამის სახელი და გვარი მემამულისა, სახელწოდება მამულისა და მაზრისა, აღნიშვნა ადრესისა, რომლითაც უნდა გაეგზავნოს მემამულეს პასუხი მის ქაღალდზედ, რაოდენობა მისასყიდის პურისა და მისი ღირსება, ფასი ერთის ფუთისა, აღნიშვნა რკინის გზის სადგურისა, ან მაღაზიისა, საცა იქნება ჩაბარებული პური, სად უნდა გაიგზავნოს ტომრები და რადა რა ვადაზე, რომელ კასიდგან და რა წესით უნდა მიეცეს ფული. აგრეთვე აღნიშვნა თანხმობისა, რომ ტვირთულობენ პურის ჩაბარებას იმ პირობით, რომელიც განმარტებულია ერობათა, მემამულეთა და სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებათაგან სამხედრო უწყების მიერ ნუზლსანოვაგის სყიდვის წესში. ამას გარდა, რადგან სყიდვა პურისა მემამულეთაგან ამა თუ იმ ვადაზედ, ბეის წარმოუდგენლად შეიძლება, ამიტომ იმის ბუღდავანობისათვის, რომ მემამულენი პირნათლად შეასრულებენ ნაკისრ მოვალეობას, მემამულე თავად-აზნაურნი, გამსყიდველნი პურისა ამა თუ იმ ვადაზედ მოვალენი არიან წარმოადგინონ ადგილობრივ მარშლის და არა ნაკლებ ორის ადგილობრივ მემამულე თავად-აზნაურის ხელმოწერილი მოწმობა, ანუ მოწმობა საერობო გამგეობისა იმის შესახებ, თუ რაოდენი აქვს მამული სახნავი, სათიბი და საძოვარი, წელიწადში რამდენსა ჰხნავს და სთესავს, ორთა შუა რიცხვით რა მოსავალი ჰქონდა 5 წლის განმავლობაში, რაოდენი პური უნდება საკუთრად თავისთვის, რამდენი რჩება გასასყიდად, ხოლო დანარჩენნი მემამულენი, რომლითგანაც ბეის მაგიერ შეიძლება მიღებულ იქმნას მეხუთედი გასყიდულის პურისა იმ პირობით, რომ ამ მეხუთედის ფასი მიიღოს მაშინ, როცა უკანასკნელ გასასყიდის პურის ნაწილს ჩააბარებს, მოვალენი არიან აღნიშნონ თავიანთ ქაღალდში ვადა და ადგილი, რა ვადაზედაც და ადგილასაც ჩააბარებენ საინტენდანტო მმართველობას მეხუდედ ნაწილს გასყიდულის პურისას.

ამასთანავე ყველა გამყიდველმა უნდა წარმოადგინოს საინტენდანტო მმართველობაში ნიმუში პურისა ორის კარგად გამომშრალ და კარგად თავდაცობილ ბოთლითა, რომელიც უნდა იტევდეს არა ნაკლებ 1/20 ვედრისას.

მმართველობა დასძენს ამას: 1) ქაღალდი პურის გასყიდვის თაობაზედ შეიძლება მიღებულ იქმნას მხოლოდ იმ მემამულეთაგან, რომელნიც ჰფლობენ თავიანთ მამულს სრულის საკუთრების უფლებით, და არა კითარცა მოიჯარადრენი; 2) რომ პური შეიძლება იყიდოს მმართველობამ იმდენი, რამდენიც მემამულის საკუთარს მამულზედ მოდის პარტიობით დაწყებული 750 ფუთიდგან, და 3) რომ ყიდვა პურისა არა საკუთარს, არამედ იჯარით აღებულ მამულზედ მოყვანილისა, ანუ ნაყიდისა იმის-მიერ, ვისაც ქაღალდი შემოაქვს, თუნდაც მემამულისაგან ჰქონდეს ნაყიდი, განუსჯელად აკრძალულია. (3—1)

ცინკოგრაფია
ტიფლ. გამომც. ქართველთა ამხანაგობისა
ვანქის დიდი ქუჩა, № 27, ტელეფონი № 372.
კლიშეების გაკეთება შეიძლება ფოტოგრაფიული სურათებიდან და ხელით ნახატებიდან.

ქუთაისში, ვ. ბეჟანეიშვილის მაღაზიაში, იყიდება „ცნობის ფურცლი“-ს №№-ბი, თითო №-რი 3 კ. დამატებით—5 კაპეკ.

სააფთიაქო საქონლით მოვაჭრე ფარმაცევტთა ამხანაგობის
დეპო
(მუხრანიანთ ქუჩიდან) და
მაღაზია
(სასახლის ქუჩიდან)
ტელეფონი № 741.
გადავიდა ერთ შენობაში ,,სევერნი ნომრების‘‘ ქვეშ, კავკასიის მუზეუმის პირდაპირ (გოლოვინის პროსპექტის ახლო), ადრესი ფოსტისა: Тифлисъ, Товарищество фармацевтовъ, ადრესი ტელეგრამისა: Тифлисъ, фармацевтика. (0—20)

ახალი სახურავი,
რომელზედაც პატენტია აღებული
ფაბრიკა და საცინკო ქარხანა
ი. შელენგოვსკის
და
ამხანაგობისა
ბათუმში.
პლასტინები და სახურავის ყველა ნაწილები ცინკით მოკალულ რკინისა.
პრეის-კურანტი მოთხოვნისათანავე მსურველთ უფასოდ ეგზავნებათ
ამხანაგობის წარმომადგენელნი:
ტფილისში გ. მულიარსკი
(ერევნის მოედანზე № 25)
ქუთაისში ვ. ჭილაძე
(ტფილ. ქუჩა საკუთ. სახ.) (30—27)

Дозв. ценз. Тифлисъ, 24 Сентября, 1902 г.
ელექტრონის სტამბა წიგ. გამომ. ქართ. ამხ. (Электропеч. Груз. Издат. Т—ва).